საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

**საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა**

თარიღი: 1 ნოემბერი, 2023 წელი

დრო: 18:00 - 20:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
6. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
7. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
8. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
9. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი თემები:

1. საორგანიზაციო საკითხები
2. ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს პარლამენტის ერთობლივი კონფერენცია
3. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი
4. განცხადება მედიის საკითხებზე

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაში მონაწილეობდნენ პლატფორმის თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები: ლაშა ტუღუში, ნონა ქურდოვანიძე, კონსტანტინე ჟღენტი, ქეთევან ცხაკაია, ნუგზარ კოხრეიძე, ირინა ფუტკარაძე, ცირა მესხიშვილი და ლაშა ბლიაძე.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.
თავდაპირველად, საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს „მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებები“. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ევროკავშირის ელჩმა დადებითად შეაფასა და განმარტა, რომ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან. საკითხზე მომუშავე მხარეები პრობლემურად მიიჩნევდნენ ჩანაწერს „უხამსობასთან“ დაკავშირებით. მათი განმარტებით, თავად ტერმინი არის გაუგებარი და დასაზუსტებელი. ამ ეტაპზე, საკოორდინაციო საბჭო მიიჩნევს, რომ განცხადების მომზადება მედიის საკითხთან დაკავშირებით არ დგას დღის წესრიგში. ასევე, თვლიან, რომ მნიშვნელოვანია პირველივე ერთობლივ კონფერენციაზე განხილული იყოს მედიის საკითხი, როგორც 12 პრიორიტეტის შესრულების კონტექსტში, ისე მის მიღმა.

შეხვედრაზე იმსჯელეს რიგით მე-15 ფორუმის რეზოლუციის პროექტთან დაკავშირებით. მეორე ჯგუფის კოორდინატორმა, კონსტანტინე ჟღენტმა, ისაუბრა რეზოლუციის პროექტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ფორუმის სამდივნოს მიერ მომზადებული და შემოთავაზებული რეზოლუციის დოკუმენტი არ ასახავს იმ პრობლემებს, რომელიც დგას როგორც ფორუმის, ისე ეროვნული პლატფორმების წინაშე. ამიტომ, მეორე და მეხუთე ჯგუფების წევრებმა, ექვსივე ქვეყნიდან, შეიმუშავეს რეზოლუციის პროექტის ალტერნატიული ვერსია, რომელშიც მკაფიოდ არის ასახული დღეს არსებული რეალობა და პრობლემები, ასევე გამოკვეთილია ის მიმართულებები და საკითხები, რომლებიც ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დამატებითი შეხვედრა გაიმართება საქართველოს ეროვნული პლატფორმის დელეგატებთან. მათ გაეგზავნებათ რეზოლუციის ორივე პროექტი და ფორუმის შეხვედრამდე განხილული იქნება ეს საკითხი პოზიციების გაზიარებისა და შეჯერების მიზნით.

საორგანიზაციო საკითხების განხილვისას, საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს გაფართოებული შეხვედრის ორგანიზების საკითხთან დაკავშირებით. პირველი ჯგუფის კოორდინატორის, ნონა ქურდოვანიძის მიერ, დასმული იქნა 2 საკითხი, პირველი შეეხებოდა გაფართოებული შეხვედრის ორგანიზებას, რომელზეც განხილული იქნება პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მიერ გამოთქმული მოსაზრებები პარლამენტთან გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმთან დაკავშირებით. საკითხზე მსჯელობის შედეგად, საბჭოს გადაწყვეტილებით, საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებული შეხვედრა გაიმართება 8 ნოემბრის შემდეგ, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდება ევროკომისიის რეკომენდაციის შესახებ გადაწყვეტილება.

მეორე საკითხად კი პარლამენტთან გაფორმებული მემორანდუმის ეფექტური ფუნქციონირების საკითხზე იმსჯელეს. ნონა ქურდოვანიძის მიერ ყურადღება იქნა გამახვილებული პარლამენტის წევრებისა და თავმჯდომარის იმ განცხადებებზე, რომელიც გავრცელდა მედიასაშუალებებში და მიმართული იყო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისადმი. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი მიიჩნევს, რომ მემორანდუმში ასახული ის პუნქტები, რომლებიც ეთიკის კოდექსის დაცვას გულისხმობს არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. საბჭოს წევრთა თხოვნის შესაბამისად, ნონა ქურდოვანიძე მათ გაუზიარებს ბმულებს, სადაც ყველას ექნება საშუალება გაეცნოს პარლამენტის წევრთა მიერ გამოთქმულ შეფასებებს. საკოორდინაციო საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ ეროვნულმა პლატფორმამ აუცილებლად უნდა მოახდინოს რეაგირება პარლამენტის მხრიდან ეთიკის კოდექსის შეუსაბამო განცხადებებზე და კიდევ ერთხელ უნდა მოვითხოვოთ შეწყდეს სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაცია. მნიშვნელოვანია საბჭო შეჯერდეს ფორმაზე, თუ რა ფორმით მოხდება საკითხზე რეაგირება. ამ ეტაპზე, საკითხზე მსჯელობა გრძელდება საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

შეხვედრაზე განიხილეს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს პარლამენტის ერთობლივი კონფერენციის ორგანიზების საკითხი. ორი  თემატური კონფერენციის ჩატარება იგეგმება ევროპული საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე. საბჭოს გადაწყვეტილებით, პირველი კონფერენციის სავარაუდო თარიღად, პარლამენტის თავმჯდომარისთვის შეთავაზებული იქნება 10 ნოემბერი, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ დროს უკვე გვეცოდინება ევროკომისიის რეკომენდაციის შინაარსი და კონფერენციის დაგეგმვაც გამოძახილი იქნება ევროკომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების. აქცენტები გაკეთდება იმ საკითხებზე, რომელიც უკავშირდება 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებას და შეფასებას. ერთობლივ კონფერენციაზე მოწვეული იქნება ევროკავშირის ელჩი საქართველოში.
პირველი ჯგუფის კოორდინატორმა, ლაშა ტუღუშმა, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საინიციატივო ჯგუფის მიერ, საკანონმდებლო წინადადებებისა და ინიციატივების შემუშავებასთან დაკავშირებით.საინიციატივო ჯგუფი ამზადებს ახალ საკანონდებლო წინადადებებს, რომელიც დაკავშირებულია სასამართლო სისტემასთან და ასევე მედიის საკითხებთან. უახლოეს მომავალში, მას შემდეგ რაც საბოლოო სახე მიეცემა დოკუმენტებს, იგი გეგმავს რომ განხილვა მოეწყოს პლატფორმის წევრებთან, რადგან სამოქალაქო სექტორის ფართო მხარდაჭერა პროცესისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან  ჭურაძე